საბჭოთა კავშირის საინფორმაციო სტრატეგიისა და პოლიტიკური კომუნიკაციის ასახვა 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომში

მაგისტრი: ანა მიქაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ჟვანია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად“.

ანა მიქაია, 19.06.2022.

აბსტრაქტი

რამდენიმე საუკუნეა რუსეთი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პოლიტიკური კომუნიკაციითა და საინფორმაციო კამპანიებით საკუთარი პოლიტიკის გატარებას ახერხებს, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე. ბოლო დროს მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომმა, ზემოთხსენებული საკითხის შესწავლის აუცილებლობა გამოკვეთა.

ტექნოლოგიური პროგრესისა და საინფორმაციო ქსელების დახვეწის მიუხედავად, რუსეთი მასებზე გავლენის მოხდენის ტრადიციულ ხერხებს კვლავ იყენებს. საყურადღებოა, გამოიკვეთოს მსგავსებები და განსხვავებები პოლიტიკურ კომუნიკაციაში, რომელმაც შეცვალა როგორც მე-20, ასევე, 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგი.

საბჭოთა კავშირის დროინდელი პოლიტიკური კომუნიკაციისა და საინფორმაციო საშუალებების რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომში ასახვის შესაფასებლად და გასაანალიზებლად თვისებრივი კვლევა შეირჩა, რომლის ფარგლებშიც დარგის ექსპერტებთან სიღრმისეული, არასტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა. კვლევისას მათ საშუალება მიეცათ, დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები და გაეზიარებინათ პროფესიონალური დაკვირვებები ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. პარალელურად, მკვლევარმა თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდს მიმართა, რომელიც გულისხმობდა ვიდეო მასალების ტექსტის დეტალურ და სისტემურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას. თვისებრივი კვლევის შედეგად პასუხი გაეცა შესავალ ნაწილში დასმულ საკვლევ კითხვებს და გამოიკვეთა მსგავსებები და განსხვავებები ამ ორი ეპოქის პოლიტიკურ კომუნიკაციასა და საინფორმაციო სტრატეგიას შორის.

ნაშრომმა საკვლევ პრობლემაზე არსებულ ცოდნაში გარკვეული წვლილი შეიტანა, რაც გულისხმობს, საზოგადოებრივი ურთიერთობების დარგში, ამ შემთხვევაში უფრო კონკრეტულად, პოლიტიკური და მედია კომუნიკაციის მიმართულებით ახალი და ძველი ტენდენციების დანერგვისა და გავრცელების შესწავლის აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კომუნიკაცია, საინფორმაციო სტრატეგია, საბჭოთა კავშირი, ომი, რუსეთი, უკრაინა.

Abstract

For several centuries, Russia has been able to pursue its own specific policy, both domestically and internationally, through its individual political communication and information campaigns. Recent important events in the world, especially the Russia-Ukraine war, have highlighted the need to address the above issue.

Despite technological advances and the refinement of information networks Russia continues to use traditional means of influencing the masses. It is noteworthy to highlight the similarities and differences in political communication that have changed the agenda of both 20th and 21st century international politics.

To assess and analyze the coverage of Soviet-era political communications and informational strategies in the Russia-Ukraine war of 2022 year was conducted a qualitative research- in-depth interviews with experts in the field. During the research, they were given the opportunity to express their opinions and share professional observations on the above issue. On the other hand, the researcher applied a qualitative content analysis method, which involved a detailed and systematic analysis and interpretation of the text of video materials, related to the research issue. Qualitative research answered the research questions and revealed the similarities and differences between the political communication and mass media of these two epochs.

The research made some contribution to the existing knowledge on the research problem, which implies the need to study the introduction and dissemination of new and old trends in the field of public relations, in this case more specifically, in the field of political and media communication.

Keywords: political communication, informational strategy, Soviet Union, war, Russia, Ukraine.